ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3086241

ნომერი: AR1475620

თარიღი : 03.02.2017

გაცემის თარიღი : 09.02.2017

გაცნობის თარიღი : 10.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია., (ნაკვეთი N8/127) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი N28) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- აკაკი შანიძის ქ. #25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 03 თებერვლის #AR1475620 განცხადებით მომართეს მიხეილ მახათაძემ, ნოდარ გოგლიძემ, მაია ოშხარელმა, მარიამ გოგლიძემ, ზაზა ბარბაქაძემ და ბაჩუკი ოშხარელმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 ბრძანებით, ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N28) (ნაკვ. N 01.14.05.008.034), დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 25 მარტიდან 2017 წლის 25 მარტის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882016648260, მომზადების თარიღი: 26/09/2016 21:31:58) თანახმად, მოხდა #01.14.05.008.034 და #01.14.05.008.267 მიწის ნაკვეთების გაერთიანება და ჩამოყალიბდა ახალი საკადასტრო ერთეული - #01.14.05.008.281. აღნიშნული ამონაწერის თანახმად ქალაქი თბილისი, ჯიქიას ქუჩის (ნაკვ. 8/127) მიმდებარე ტერიტორია/ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე (ნაკვეთი N28), (საკ. კოდი: #01.14.05.008.281), მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ამხანაგობა „ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი #28“. ID ნომერი: #205331283.

სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით მომართული აქვთ უფლებამოსილ პირებს.

ასევე, სამსახურში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტების შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვენ სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს მიხეილ მახათაძის, ნოდარ გოგლიძის, მაია ოშხარელის, მარიამ გოგლიძის, ზაზა ბარბაქაძის და ბაჩუკი ოშხარელის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მიხეილ მახათაძის, ნოდარ გოგლიძის, მაია ოშხარელის, მარიამ გოგლიძის, ზაზა ბარბაქაძის და ბაჩუკი ოშხარელის 2017 წლის 03 თებერვლის #AR1475620 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის #1205519 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 მარტის #1802378 ბრძანებები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.